სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №ლტ/2017-013
CPV –22822000

ქ. თბილისი 25 იანვარი 2017 წელი

ერთის მხრივ, შპს "ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები" შემდგომში - "შემსყიდველი", (საიდენტიფიკაციო კოდი: 202462101) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის ნინო ლომიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „პრინტ ოფისი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 404429506) (შემდგომში - "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი თაქთაქიშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის "ა" პუნქტის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ˜ (შემდგომში – `ხელშეკრულება˜) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. ხელშეკრულების ღირებულება˜ –საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. `დღე˜, `კვირა˜, `თვე˜ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. `შემსყიდველი" _ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. `მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. `საქონელი" – ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია "შემსყიდველის" სახსრებით "საქონლის" შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დიზაინის (დანართი №1) შესაბამისი ბლანკების შემსყიდველისათვის მიწოდება ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებული რაოდენობითა და ტარიფებით.

ცხრილი №1

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ღირებულება (ლარი) დღგ-ს ჩათვლით	საერთო ღირებულება(ლარი) დღგ-ს ჩათვლით
1	ბლანკი	300 ცალი	0.54	162
	ჯამი			162

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 162 (ას სამოცდაორი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით,კონსიგნაციით, ,,მიმწოდებლის'' წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის რაოდენობის მიხედვით, მიწოდებული საქონლის თაობაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, აღნიშნული აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.4. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის "მიმწოდებელმა'' ,,შემსყიდველს'' უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

__ მიღება-ჩაბარების აქტი (დედანი)

__ ინვოისი

__ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონელი მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

6.2. საქონლის მიღების ადგილი: ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ. #15, "შემსყიდველის" ადგილსამყოფელი.

6.3. საქონლის მიწოდება და "შემსყიდველის" მიერ მისი მიღება დასტურდება მხარეებს შორის გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული დასაბუთებული უნდა იქნეს მხარეთა მიერ.

6.4. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სერვის ცენტრების პასუხისმგებელი პირი, ხოლო შემსყიდველის მხრიდან - შპს "ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების" რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი - სოფიო მგალობლიშვილი.

6.5. ხელშეკრულების ადმინისტრატორად შემსყიდველის მხრიდან განისაზღვროს შპს "ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების" რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი - სოფიო მგალობლიშვილი, მობ: 598 29 77 70.

6.6. მიღება-ჩაბარების აქტი დგება 4 (ოთი) ეგზემპლიარად, რომელთაგან სამი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო 1 (ერთი) მიმწოდებელს.

6.7. მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხარისხი და გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული ,,საქონელი'' შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია წარადგინოს პრეტენზია მოწოდებული საქონლის ხარისხის თაობაზე წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში. მიმწოდებელი ვალდებულია ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ხარვეზი საკუთარი ხარჯებით.

7.3. მიმწოდებლის მიერ 7.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები ხარვეზის გამოსასწორებლად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს საქონლის მიღებისთანავე ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და შეამოწმოს მიღებული საქონლის ხარისხის წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობა, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს აღნიშნული შემოწმების/კონტროლის განხორციელების პროცესში.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

9.1.1 კონტროლის შედეგად „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მიმწოდებელს მითითება ხარვეზის გამოსწორების შესახებ;

9.1.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის შეუფერხებელი მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და შემსყიდველის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

9.1.3 მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება უხარისხო ან/და ვადის გადაცილებით მიწოდებული საქონელისათვის.

9.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

9.2.1 უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

9.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

9.3.1 მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

9.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს ვარგისიანი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი და კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3. პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ს.

10.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-სა.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის საქონლის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

14. დავების გადაწყვეტა

14.2. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის მიერ ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 10 მარტამდე.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ორი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო, ერთი „მიმწოდებელთან".

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3 შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ის 2 კვირით ადრე წერილობით შეატყობინებს მიმწოდებელს ამის შესახებ.

16.4 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16.5 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალ-მემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა და მუშაკებისთვის.

16.6 წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

16.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16.8 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილის გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

16.9 მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე

ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

16.10 ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ან უარი განაცხადოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ,,მიმწოდებელი" არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

16.11 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს "ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები"	შპს „პრინტ ოფისი"
ს/კ 202462101	ს/კ: 404429506
მის: ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ.№15	მის: ქ.თბილისი, ჩუბინიშვილის N50
ბანკი: სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"	ბანკი: სს "ბანკი ქართუ"
ბანკის კოდი: UGEBGE22	ბანკის კოდი: CRTUGE22
ა/ა GE21VT6500000007773607	ა/ა GE96 CR01 2000 7001 7436 02
ნინო ლომიძე	გიორგი თაქთაქიშვილი

დანართი N1

GR | ლოგისტიკა და ტერმინალები

GR | Logistics & Terminals

201 _____

N: _____

GR | ლოგისტიკა და ტერმინალები

0112 თბილისი თამარ მეფის გამზირი 15
15 Tamar Mepe Avenue Tbilisi 0112

+995 032 219 91 19
GRLogistics&terminals@railway.ge
www.railway.ge

პრინტ ოფისი
ალ. ყაზბეგის 43
თბილისი, Tbilisi 0177 GE
+995322392303
geoprintoffice@yahoo.com
www.printoffice.ge
RS Registration No.: 404429506
Govt. UID 404429506

ინვოისი

ADDRESS
ჯიარ ლოგისტიკა და
ტერმინალები
Tax Registration No. 202462101

ინვოისი NO. 9201
DATE 20/01/2017

თარიღი	პროდ-უქცია/სერვისი	რაოდენობა	ერთე-ულის ფასი	დღგ	მთლიანი ღირებ-ულება
20/01/2017	**ბლანკი**	300	0,54	დღგ 18%	162,00

საბანკო ანგარიში:
მიმღები: ბანკი ქართუ
ბანკის კოდი: CRTUGE22
მიმღების ანგარიშის N: GE96CR0120007001743602

INCLUDES TAX 24,71
TOTAL **162,00 GEL**

Accepted By

Accepted Date